ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5617293

ნომერი: AR1841436

თარიღი : 01.09.2021

გაცემის თარიღი : 29.09.2021

გაცნობის თარიღი : 15.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქუჩა, N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგი ტოგონიძე პ/ნ 18001003129
- ი. ჭავჭავაძის გამზირი 35ა ბ.47

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ოპტიმა კოდი: 40458336

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4313233, (4647786, 04/09/2019)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 21.12.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გივი გოგოლაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ოპტიმა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404583036
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვახტანგი ტოგონიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 8001003129

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3260.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 827.38
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 7967.5
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 5603.2
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 434.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 633.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1073.4
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 53.7
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 168.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 24950.72
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 24767.52
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 183.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 39.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 827.4/3260=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 8221.2 / 3260 = 2.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 818.2 / 3260 = 0.3

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 5223093
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 22.12.2020

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 5223093
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.12.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. დამკვეთის ველში მიეთითოს შპს ოპტიმას ამჟამინდელი დირექტორი და წარმოდგენილი იქნას მის მიერ განმცხადებელზე გაცემული, დამოწმებული მინდობილობა.

2. წარმოდგენილი იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N322 პირველი პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია

3. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: დაიტანეთ და დაიცავით სერვიტუტი. ავტოსადგომების განთავსება სერვიტუტზე დაუშვებელია. ავტოსადგომების რაოდენობა არ შეესაბამება შეთანხმებულ პროექტს. გაითვალიწინეთ 40 ავტოსადგომი.

4. ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულია N001605 მითითება, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორ განო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ". წარმოადგინეთ სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა დამოწმებული სპეციალისტის მიერ და ინფორმაცია შემსრულებელი ექსპერტის შესახებ.

5.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ ცალკე მდგომი ავტოსადგომის და დამხმარე შენობის ჭრილები და ფასადები.

6. წარმოადგინეთ სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სსიპ აკრედიტაციის ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული ორგანოს/პირის მომზადებული დასკვნა, რომლიტაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

7. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე " საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის მისაღები, რადგან ხელმოწერა კომპიუტერული მანიპულაციითაა შესრულებული. წარმაოდგინეთ დასკანერებული ხელმოწერა. დოკუმენტი დამოწმებული იქნას პასუხის მგებელი პირის მიერ და წარმოდგენილი იქნას ექსპერტის მონაცემები

8.კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: წარმოადგინეთ დარჩენილი/ჩასატარებელი სამსენებლო სამუშაოების შესაბამისად დამუშავებული გრაფიკი

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.